პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

კვირა
12 თებერვალი,
1956 წელი
№ 13 (923)
ფასი 20 კაპ.
გამოდის ...






ზამთრის მეშვიდე ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული საბჭოთა მოთხილამურეები. მარცხნიდან — ვ. კუზინი, ნ. ანიკინი, პ. კოლჩინი, ფ. ტერენტიევი. ზედა სურათზე აღბეჭდილია საბჭოთა მოციგურეები (მარცხნივ) რ. გრაჩი და ე. გრიშინი, რომლებმაც აგრეთვე ისახელეს თავი.

## ერთნაირი ანგარიშით

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მოკრივეთა ჩამოსვლამ მოსკოვში სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს გასაგებიცაა. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ გასული წლის ევროპის ჩემპიონატში ამ გუნდის სამმა წევრმა — ბაზელმა, კურშატმა და შეპნერმა ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს. ევროპის პირველობის შემდეგ გერმანიის გუნდმა დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სპორტსმენები, ხოლო 21 იანვარს შეხვდა ირლანდიის ნაკრებს და გაიმარჯვა ანგარიშით 14:6.

7 თებერვალს მოსკოვში სახელმწიფო ცირკში მოეწყო სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ნაკრები გუნდების პირველი მატჩი, რომელიც დაიწყო უმსუბუქესი წონის მოკრივეების სსრ კავშირის ჩემპიონის ვ. სტოლნიკოვისა და ევროპის 1955 წლის ჩემპიონის ე. ბაზელის შეხვედრით. ქულებით გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა. მჩატე წონაში ბ. სტეპანოვმა მეორე რაუნდში მოიგო შეხვედრა ნოკაუტით ე. კაპელმანთან. საინტერესო იყო გ. მელინგისა და ი. ენკუზისის (სსრ კავშირი) ორთაბრძოლა. გაიმარჯვა გერმანელმა სპორტსმენმა. მსუბუქ წონაში ნ. სმირნოვმა დაამარცხა ი. ჰორსტი. პირველ ნახევარსაშუალო წონაში ევროპის 1953 წლის ჩემპიონმა ბ. ენგიბარიანმა ქულებით მოუგო ფ. სიმესს, მეორე ნახევარსაშუალო წონაში ე. ბორისოვი დამარცხდა ფ. ოლდენბურგთან, რ. კარპოვმა მეორე რაუნდში ნოკაუტით მოიგო ბრძოლა ფ. კეულთან. ევროპის 1955 წლის ჩემპიონმა გ. შატკოვმა გაიმარჯვა დ. ვემხენერთან, რ. მურაუსკასის აშკარა უპირატესობის გამო გერმანელმა მოკრივემ ქვემძიმე წონაში ე. ვილერმა უარი განაცხადა ბრძოლის გაგრძელებაზე. მძიმე წონაში რ. იუშკენასმა (სსრ კავშირი) გაიმარჯვა ა. ვესტფალთან.

შეხვედრა დამთავრდა ჩვენი ქვეყნის მოკრივეთა გამარჯვებით ანგარიშით 14:4.

9 თებერვალს შედგა მეორე მატჩი. შეხვედრა მოიგო სსრ კავშირის გუნდმა — 14:4.

## სპორტული პრესის ასოციაციის კონგრესი

ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის წინ კორტინა დამპეცოში გაიმართა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის მორიგი კონგრესი. სხდომის დაწყებამდე ასოციაციის პრეზიდენტმა ბატონმა ე. ბუენმა (ბელგია) აღნიშნა, რომ შემოვიდა განცხადება სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა სექციისაგან საერთაშორისო ასოციაციაში მიღების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება არ არის შეტანილი დღის წესრიგში, ბუენმა შეიტანა წინადადება, როგორც გამონაკლისი განხილულ იქნას ეს საკითხი. კონგრესმა ერთსულოვნად მიიღო საბჭოთა ჟურნალისტების სპორტული სექცია საერთაშორისო ასოციაციაში. სხდომის მონაწილეები აპლოდისმენტებით შეხვდნენ საბჭოთა ჟურნალისტებს ა. ნოლეს და ნ. კისელიოვს და მიიწვიეს ისინი კონგრესის შემდგომ მუშაობაში მონაწილეობისათვის.

კონგრესმა განიხილა მთელი რიგი საკითხები. იმის გამო, რომ ვიქტორ ბუენი არჩეულია ბელგიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად, კონგრესმა იგი გაათავისუფლა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის თანამდებობიდან. სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულ იქნა შვეიცარიელი ჰენრი შიინი.

### საინფორმაციო სააგენტოთა სპორტული რედაქტორების ევროპის კავშირი

6 თებერვალს კორტინა დამპეცოში შედგა ევროპის წამყვანი საინფორმაციო სააგენტოების, აგრეთვე ამერიკის სააგენტოების ევროპის განყოფილებების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც შეიქმნა სპორტული რედაქტორების საინფორმაციო სააგენტოთა ევროპის კავშირი. ჟურნალისტთა ახალ საერთაშორისო ორგანიზაციაში შეიდნენ ფრანს პრესის, რეიტერის, საკდესის, ასოშიეიტედ პრესის, იუნაიტედ პრესისა და სხვა სააგენტოთა სპორტული მიმომხილველნი.

თათბირმა მოიწონა წესდება და აირჩია კავშირის ბიურო.

## რად ეთიშება კარლო შენგელია კოლექტივს?

როდესაც თბილისში ხმა დაირხა, რომ ნალჩიკში, საკავშირო შეჯიბრებაზე კარლო შენგელიამ პირველი ადგილი და ოქროს მედალი მოიპოვა, ველოსპორტის მოყვარულთა გული სიხარულით აივსო. ყველა ერთხმად ამბობდა, რომ საგზატკეცილო რბენა რესპუბლიკაში ჩამორჩენილია, ახალგაზრდები ნაკლებად ეტანებიან, შენგელიას გამარჯვება სტიმულს მისცემს სხვებს, დააინტერესებს, ჩააბამს მუშაობაში.

ამხანაგებმა მხურვალედ მოულოცეს გამარჯვება თბილისში დაბრუნებულ კარლოს. მისი თანატოლებიც კი მოკრძალებით ეპყრობოდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, ოქროს მედლის მფლობელს. მალე კარლო რესპუბლიკურ კომიტეტში გამოიძახეს და მისთვის სპორტის ოსტატის სახელის მისანიჭებლად შუამდგომლობა აღძრეს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის წინაშე. გადიოდა დღეები... შენგელიამ სხვა თავის მეგობარ დინამოელებთან ერთად მრავალდღიან ველორბოლაში მიიღო მონაწილეობა, მართალია, ავადმყოფობის გამო მან რბოლა არ დაამთავრა, მაგრამ თავისი გუნდის გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი.

შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გამოიძახა, აცნობა მისთვის საპატიო სახელის მინიჭების შესახებ და ოსტატის ნიშანიც გადასცა. მან აქვე დადო პირობა, რომ ენერგიას არ დაიშურებდა თავისი ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის და ღირსეულად ატარებდა საბჭოთა ოსტატის სახელს.

ამის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. შენგელიამ იფიქრა (თუ ვინმემ ჩააგონა) და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის მეტი ნამდვილი ველოსიპედისტი საქართველოში არ არის, რომ უმისოდ საქართველოს ველოსიპედისტები ნაბიჯს ვერ გადადგამენ, რომ საჭიროა მისდამი პატივისცემა კიდევ გაიზარდოს, რომ კოლექტივი მისთვის უნდა არსებობდეს და არა იგი კოლექტივისათვის.

პირველად მან თავის გუნდზე მიიტანა იერიში: რესპუბლიკური ნაკრები წესიერად არ ემზადება, მწვრთნელები ვერ პასუხობენ ჩემს გაზრდილ მოთხოვნებს! — განაცხადა მან და გაეთიშა კოლექტივს. როდესაც გუნდი გზატკეცილზე მიდიოდა სავარჯიშოდ, იგი საერთო ფიზიკურ მომზადებას გადიოდა, როდესაც გუნდი დარბაზში მეცადინეობდა, იგი საცურაო აუზს მიაშურებდა და ა. შ. მწვრთნელებმა იგი გააფრთხილეს, აუხსნეს, რომ კოლექტიური წვრთნის ერთიან გეგმას დიდი მნიშვნელობა აქვს და რომ იგი ასეთი ქაოტური მეცადინეობით ვერ აიმაღლებს ოსტატობას. მაშინ, თავისი მოქმედების გასამართლებლად, მან ახალი არგუმენტი მოიყვანა: მე მოსკოვიდან, საკავშირო სექციიდან მოცემული მაქვს წვრთნის სპეციალური გეგმა (რომელსაც არავის აჩვენებს და დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი არც აქვს) და იმის მიხედვით ვვარჯიშობ.

კარლო შენგელიას საქციელი თანდათან თავხედობაში გადაიზარდა. იგი გასულ წელს აკადემიური ჩამორჩენის, მეცადინეობების უმიზეზოდ გაცდენისათვის გარიცხულ იქნა ფიზკულტურის ტექნიკუმიდან. წელს მან სტუდენტის უფლებებში აღდგენის შესახებ თხოვნით მიმართა ტექნიკუმის დირექტორს. დირექტორმა კ. ბიბილურმა, რომელიც ველოსპორტის რესპუბლიკური სექციის თავმჯდომარეცაა, შენგელიას საქციელის შესახებ ყველაფერი კარგად იცოდა, და ურჩია, რომ მიემართა სექციისათვის, დაეგმო თავისი მოქმედება და მხოლოდ შემდეგ აღდგებოდა სტუდენტის უფლებებში. ეს შენგელიამ იუკადრისა და მეორე განცხადებაც შეიტანა, სადაც კატეგორიულად მოითხოვდა დაებრუნებიათ მისთვის საბუთები: სხვა ქალაქში ვაპირებ გადასვლასო. ასეთივე უპასუხისმგებლო განცხადებით გამოვიდა იგი სექციის სხდომაზეც: „მე მოსკოვი მეხვეწება გადასვლას, მე სხვა ქალაქებიც მთხოვენ, თუ ჩემ სურვილებს ანგარიში არ გაუწიეთ, მე როგორც მოქალაქეს მაქვს უფლება სხვა ქალაქში გადავიდე საცხოვრებლად!“.

შენგელიას მოქმედების შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ კმარა. ახლა შევეხოთ მეტად მტკივნეულ საკითხს. ვინ აღზარდა იგი, საიდან შეიძინა 19 წლის ახალგაზრდამ საბჭოთა სპორტსმენისათვის ასეთი ჩირქისმომცხები თვისებები? ერთი ცხადია — როდესაც ამ ახალგაზრდასთან დაიწყეს მუშაობა, მწვრთნელებს გამორჩათ, რომ ტექნიკურ შედეგებთან ერთად მის იდეურ ზრდაზეც ეზრუნათ. როდესაც იგი ნალჩიკიდან ოქროს მედლით დაბრუნდა, შენგელიას მწვრთნელი გ. ფარცვანია ამაყად ამბობდა, რომ კარლო მან გაზარდა, რომ რესპუბლიკას ერთი ჩემპიონი შემატა. ახლა რას იტყვის ფარცვანია, როდესაც მისი აღზრდილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მზადების დაძაბულ დღეებში გუნდს ემიჯნება (სხვათაშორის რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი ფარცვანიაცაა)? ამიტომ ველოსპორტის სექციამ, როდესაც შენგელიას საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელ საქციელს განიხილავს, პირველ რიგში უნდა დასაჯოს მწვრთნელი, რომელმაც სათანადოდ ვერ აღზარდა იგი, ვერ შთაუნერგა კოლექტივისადმი სიყვარული. საუბედუროს ღირსია სპორტული საზოგადოება „დინამოც“, რომელსაც, როგორც ჩანს, სათანადო სიმაღლეზე არა აქვს დაყენებული სპორტსმენთა შორის პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა.

კარლო შენგელიას, მიუხედავად იმისა, რომ იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონია და კარგი სპორტული მომავალიც აქვს, ტყუილად ჰგონია, რომ უმისოდ ველოსპორტი საქართველოში არ იარსებებს. მას, რასაკვირველია, როგორც საბჭოთა მოქალაქეს უფლება აქვს ჩვენი დიადი სამშობლოს რომელ ქალაქშიც უნდა იცხოვროს, ჩვენ კი უფლება გვაქვს იგი დავსაჯოთ, დავსაჯოთ სამაგალითოდ, როგორც სპორტული ეთიკის უხეში დამრღვევი, გუნდში დეზორგანიზაციის შეტანის ცდისათვის, რესპუბლიკის ინტერესებისადმი უპატივცემლობისათვის. ეს, მარტო რედაქციის აზრი როდია, ეს აზრია რესპუბლიკის საზოგადოებრიობისა, რომელიც რესპუბლიკის სპორტსმენებისაგან მოითხოვს დაუღალავ ბრძოლას მაღალი შედეგებისათვის, მაღალი კულტურისათვის, ჯეროვან პასუხს იმ დიდ ზრუნვაზე, რომელსაც სპორტსმენებს უწევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

## ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალი

მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩატარდება ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალი — სიჭაბუკის დიდი დღესასწაული.

ფესტივალი ტარდება კულტურულ-მასობრივ მუშაობაში ახალგაზრდობის ფართო მასების მიზიდვის, მხატვრული თვითმოქმედების განვითარების, ახალგაზრდა შემსრულებელთა მხატვრული ოსტატობის ამაღლების, აგრეთვე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალისათვის წარმატებით მომზადების მიზნით. ფესტივალი ხელს შეუწყობს ჭაბუკებისა და ქალიშვილების აღზრდას კომუნიზმის სულისკვეთებით, დარაზმავს ახალგაზრდულ ძალებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების აღმავლობის საქმეში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტეს ფესტივალი ჩაატარონ 1956 წლის სექტემბრიდან 1957 წლის მაისამდე სამ ტურად. პირველი ტური — საწარმოებში, კოლმეურნეობებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში; მეორე ტური — რაიონებსა და ქალაქებში; მესამე ტური — ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში. ფესტივალის დასკვნითი ნაწილი გაიმართება მოსკოვში 1957 წლის 20-27 მაისს.

ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება საბჭოთა ახალგაზრდობის საკავშირო ფესტივალის შესახებ. დამტკიცებულია ფესტივალის დებულება, რომელშიც ნათქვამია, რომ ფესტივალის მონაწილეები შეიძლება იყვნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და სოლისტები, აგრეთვე პროფესიონალური ხელოვნების წარმომადგენლები. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორები, ლიტერატორები, მხატვრები, სკულპტორები, სპორტში მომეცადინე ჭაბუკები და ქალიშვილები.

ფესტივალისათვის მზადების პერიოდში მოეწყობა საინტერესო საუბრები, საღამოები მიძღვნილი ჩვენს დიად სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი, კომკავშირისადმი; ჩატარდება კინოფესტივალები, მკითხველთა კონფერენციები, მრავალრიცხოვანი სპორტული ღონისძიებები — შეჯიბრებები, საჩვენებელი გამოსვლები, მასობრივი კროსები, ესტაფეტები.





თბილისის ფეხბურთის ახალგაზრდობის სკოლის აღსაზრდელები როდი უშინდებიან ყინვასა და თოვლიან ამინდებს. ისინი შეუფერხებლივ განაგრძობენ სტადიონზე ვარჯიშს. **სურათზე:** სკოლის მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ანთაძე (შუაში) თავის აღსაზრდელებს ასწავლის ბურთზე დარტყმის ტექნიკას. მარჯვნივ — ფეხბურთელები ეუფლებიან ბურთის თავით მიღებას.

# მონდომებასა და საქმისადმი სიყვარულს ხელშეწყობა უნდა

თბილისს ერთ დროს არ ჰქონდა ზამთრის საცურაო აუზი. სპორტსმენები ზამთრის პერიოდში „იძულებით შვებულებაში" იყვნენ. შემდეგ პრაქტიკაში შემოვიდა „მშრალი ცურვის" დარბაზი. ეს მოცურავეებს ერთგვარ დახმარებას უწევდა სპორტული ფორმის შენარჩუნებაში. მაგრამ იგი შორს იყო სრულყოფისაგან. სპორტსმენს ზამთრის პერიოდშიც ესაჭიროებოდა წყალი, ნამდვილი ვარჯიში და არა ცურვის იმიტაცია. და აი თბილისში „დინამოს" სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნის ქვეშ გაჩნდა საცურაო აუზი. ეს დიდი საჩუქარი იყო ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეთათვის. დაიწყო ინტენსიური წვრთნა, სრულწლიური ვარჯიში და შედეგებმაც სულ მალე იჩინა თავი. ძველი რესპუბლიკური რეკორდები ერთი მეორეზე უქმდებოდა.

გავიდა დრო, ხანი. ამაღლდა სპორტსმენთა ოსტატობა, ვაიზარდა ცურვის სექციაში ნომეცადინეთა რიცხვიც. ყველაფერმა ამან ახალი მოთხოვნები დააყენა დღის წესრიგში, რომლის დაკმაყოფილება „დინამოს" საცურაო აუზს აღარ შეეძლო. დღეს რომელ მოცურავეს, რომელ მწვრთნელსაც არ უნდა ჰკითხოთ ყველა ერთხმად გეტყვით, რომ თბილისის ზამთრის საცურაო აუზი ცურვის თანამედროვე ტექნიკისათვის ნორჩველდა. მართალია, ჩვენც ვეთანხმებით მათ ამაში, მაგრამ ჯერჯერობით სხვა გამოსავალი არ არის. ცურვას საწყლოსნო სპორტის სხვა სახეობებთან ერთად ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში და რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების, მწვრთნელების და სპორტსმენების ვალია იბრძოლონ მაღალი მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს მოცურავეთა ნაკრებმა გუნდმა ვარჯიში 10 იანვრიდან დაიწყო. 40 მოცურავე გამოცდილი მწვრთნელების ლ. იოაკიმიდის, შ. მუსასტიკოვის, ვ. დათაძის და ვ. სამარინის ხელმძღვანელობით შეუდგა სპარტაკიადისათვის მზადებას. გადავხედოთ ნაკრები გუნდის შემადგენლობას — ვინ ირიცხება მასში. თურმე შეკრების მონაწილეთაგან მხოლოდ 7 კაცია რაიონებიდან. ყველა დანარჩენი კი თბილისელია. კი მაგრამ როგორ მოხდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ზღვისპირა ქალაქები სოხუმი, ბათუმი და ფოთი ასე მოკრძალებით არის წარმოდგენილი შეკრებაზე? ნუთუ ამ ქალაქებში მოცურავეები დაილია? ამაზე ასეთი პასუხი გაგვცა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ლ. იოაკიმიდმა: — მოცურავენი არიან რასაკვირველია, მაგრამ მთელი პრობლემა ვახდა მათი თბილისში ჩამოყვანა. აი მაგალითად სოხუმელი ვ. პეტრულევიჩი. იგი საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი ბრასისტია მოზარდებს შორის. ნერე და რა, პეტრულევიჩი თავისთვისაა, ჩვენ კი ჩვენთვის.

როგორც ცნობილია, ხალხთა სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში შედის მხოლოდ პირველთანრიგოსანთა შედეგები. ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს ამ კვალიფიკაციის მოცურავეები, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მათი შედეგები არ არის სტაბილური. ზევრნა პირველი თანრიგის ნორმატივი აჩვენა ერთხელ და საკითხია შეძლებს თუ არა მის გამეორებას. ამასთან პირველთანრიგოსანთა უმეტესობა თავმოყრილია ცურვის ერთ რომელიმე სახეობაში. ასე მაგალითად, 100 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში სულ საჭიროა სამი პირველთანრიგოსანი. გუნდს კი ჰყავს ასეთი შვიდზე მეტი — სამაგიეროდ „დელფინით" ცურვაში და სხვა სტილში, — არც ერთი.

საქართველოს მოცურავეთა განსაკუთრებით სუსტი ადგილია ქალები. უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდი თითქმის მთლიანად ახალგაზრდულია (1938, 1939 წლებში დაბადებულნი). ეს კარგია. ახალგაზრდები დღითი დღე ზრდიან თავიანთ ტექნიკურ შედეგებს, მაგრამ მათ ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს სასურველ დონეს.

შეკრება და მწვრთნელებიც იმისთვის არიან, რომ მოისპოს ჩამორჩენა. ამ მხრივ ნაკრები გუნდის საქმიანობა მართლაც სამაგალითოა. სპორტსმენები მწვრთნელების ყოველდღიური ზედამხედველობის ქვეშ ენერგიულად იბრძვიან ნაკლოვანი მხარეების გამოსასწორებლად, საქმიან ინიციატივას იჩენენ.

ასე მაგალითად. ამ დღეებში მოეწყობა სპეციალური შეჯიბრება, მხოლოდ „დელფინით" ცურვაში. მიზანი ცხადია — ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენა. ასეთივე სახის შეჯიბრებები მოეწყობა იმ სახეობებში, სადაც განსაკუთრებით ჩამოვრჩებით (1500 მეტრზე ცურვა, ნებისმიერი სტილით 400 მეტრზე ცურვა ქალებისათვის და სხვა). რადგან არის მონდომება და საქმისადმი სიყვარული, ჩვენი ვალია სპორტსმენებს ხელი შევუწყოთ ყოველმხრივ.

მოცურავეები კვებისათვის მიმაგრებული არიან № 3 სასადილოზე. ეს ადგილი საკმაოდ მოუხერხებელია, რადგან იგი საწვრთნელი ბაზისაგან შორსაა. გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ მოცურავეთა კვების საკითხს „დინამოს" სტადიონის სასადილო მოაგვარებდეს.

კიდევ ერთი საკითხი. ვინაიდან მოცურავეებს დღის განმავლობაში უხდებათ რამდენიმე კილომეტრის გაცურვა, ეს ენერგიის დიდ დახარჯვასთანაა დაკავშირებული, ამიტომ საჭიროა ყოველი სპორტსმენი ექიმის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყოს. საცურაო აუზს ჰყავს თავისი ექიმი, მაგრამ იგი არ არის გაპიროვნებული მხოლოდ ნაკრების წევრებზე. ამ საქმის მოგვარება კი არ არის ძნელი საქმე.

რამდენიმე თვის შემდეგ მოცურავეები დატოვებენ ზამთრის აუზს და სავარჯიშოდ ღია ცის ქვეშ ვავლენ. ეს უკვე სპორტსმენთა მომზადების უკანასკნელი, გადამწყვეტი ეტაპი იქნება. ამ დროისათვის ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო აუზი ყოველმხრივ მზადყოფნაში უნდა იყოს, რომ სპორტსმენებმა შეუფერხებლად განაგრძონ წვრთნა.

**ნ. გუგუშვილი,**
**ლ. კვინტრაძე.**

# ჩვენი გაზეთის რეიდი

# სავაჭრო ორგანიზაციები საქმის კურსში არ არიან

რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციებში, ფიზკულტურულ კოლექტივებში გამართულ შეჯიბრებებზე ხშირად ადგილი აქვს მონაწილეთა სრულ სპორტულ ფორმაში გამოუცხადებლობის შემთხვევებს. რატომ ხდება ეს? ჯერ ერთი იმიტომ, რომ სპორტული საქონლის დამამზადებელი საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ პროდუქციის გამოშვებას იმ რაოდენობით, როგორსაც ნასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების ინტერესები მოითხოვს, მეორე და უმთავრესი მიზეზი — ეს არის სპორტული საქონლის არადამაკმაყოფილებლად მიწოდება, მათი რეალიზაციის არსებული სისტემა.

საქართველოს სპორტსმენთა წინაშე დიდ ვალში არიან სპორტული პროდუქციის გამომშვები საწარმოები, კერძოდ, არტელი „სპორტი"; გასულ წელს ამ არტელმა თავისი მოუქნელი, უნიათო მუშაობით რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებს დიდძალი რაოდენობის პროდუქცია დააკლო. არტელს რესპუბლიკის ფიზკულტურელებისათვის უნდა დაემზადებინა 20.000 მანეთის საცურაო კოსტიუმები. მაგრამ მომხმარებლებს არც ერთი ცალი არ მიუღიათ. ასევე არ შესრულებულა იმ სპორტული საქონლის გამოშვების გეგმები, რომლებზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. საწვრთნელი კოსტიუმები ნაცვლად 400.000 მანეთისა გამოუშვეს მხოლოდ 276.000 მანეთის, სპორტული ჩუსტები 1.125 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვეს 977.000 მანეთის, სანახევროდაც ვერ შეასრულეს სპორტული ფეხსაცმლების გამოშვების გეგმები.

სპორტული საქონლით რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ძირითადი მომმარაგებელია „კულტტორგი". მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის სპორტული საქონლის ნორმალურად მიწოდებას. ნაკლებად ზრუნავს იმაზე, რომ რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში სპორტული საქონელი შემოზიდონ ასორტიმენტის მკაცრი დაცვით, იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები უყენებენ.

დიდი მოთხოვნილებაა კალათბურთის კედებზე, „კულტტორგს" სავაჭრო ორგანიზაციებისათვის უნდა გადაეცა 10.000 წყვილი კედი, ფაქტიურად კი მხოლოდ 1000 წყვილი შემოზიდა. საჭიდაო ხალიჩა 29 კომპლექტის მაგიერ შემოიტანა 2 კომპლექტი, ხოლო კრივის რინგი 15 კომპლექტის ნაცვლად — 2. სანახევროდ შესრულდა აგრეთვე საგზაო და ტრეკის ველოსიპედების შემოზიდვის გეგმა.

სპორტული ორგანიზაციებისათვის სპორტული ფორმის, ინვენტარის ნორმალურად მიწოდებას ძალზე აფერხებს ის გარემოება, რომ არ არსებობს მომარაგების ერთიანი, ცენტრალიზებული სისტემა. გასულ წელს ამ ოპერაციას აწარმოებდა „კულტტორგიც", „ობუვტორგიც", „ტორგოდეჟდაც", „ვალანტერეაც". მომხმარებელს ბურთი რომ ეყიდა კამერისათვის „კულტტორგის" მაღაზიაში უნდა შეევლო, ხოლო საბურველისათვის „გალანტერეაში". რა არის ეს? მხოლოდ საქმის გართულება.

ერთი საჭირბოროტო საკითხიც. რესპუბლიკაში მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ფოთში, თელავსა და ზუგდიდში არსებობს სპეციალიზებული სპორტული მაღაზიები, რომლებიც გადარიცხვით ვაჭრობის ოპერაციებს აწარმოებენ. როგორ მოიქცნენ დანარჩენი ქალაქებისა და რაიონების სპორტული ორგანიზაციები? გადარიცხვით მათ საქონელს არ აძლევენ, ხოლო ნაღდ ფულზე ვაჭრობის უფლება არა აქვთ, ამიტომ ამ ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენებს მარტო ისღა დარჩენიათ, რომ სპორტული საქონლის მაღაზიებში შეთვალთვალებით დაკმაყოფილდნენ. საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს მუშაკები ამ საკითხის მოსაგვარებლად ჯერჯერობით დუმან, დუმილი კი საქმეს არ შველის.

**ა. კონსტანტინოვი,**
**გ. დარჩია,**
**ბ. მახარაძე.**

# როდემდის გაგრძელდება?

ხაშურში ამ რამდენიმე წლის წინათ საჭადრაკო კლუბი არსებობდა და ქალაქში საჭადრაკო ცხოვრების მაჯისცემაც იგრძნობოდა: იზრდებოდნენ კვალიფიციური მოჭადრაკეები, იმართებოდა სხვადასხვა შეჯიბრებები. მაგრამ ეს კლუბი მალე დახურეს და მის ადგილას მზაჩის ბიურო გახსნეს. ამის შემდეგ ხაშურელ მოჭადრაკეებს პირდებიან სამაგიერო ოთახის მიცემას, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. მხოლოდ ის კი ფაქტია, რომ ხა... ჩაკვდა საჭადრაკო მუშაობა, ... ყობა შეჯიბრებები, საგუნდ... ხვედრები. რამდენიმე წელ... სარაიონო პირველობა არ ჩა... ბულა.

საინტერესოა რაიონის ხ... ვანელი ორგანიზაციები როდ... გვცემენ საჭადრაკო კლუბ... სამაგიერო ოთახს.

**ი. ჩხიკვ...**

# XXIII ჩემპიონა...

გ. სპასკიმ, მ. ტაიმანოვ... და ი. ავერბახმა გაიყ... პირველი ადგილი

... პარტიებს ... ავერბახმა ... სლავსკისა და სიმაგინთან დაამთავრა და ამით სპასკის ... ჩემპიონატის უკანასკნელმა, ტურმა დიდი მღელვარება გამ... რადგან სატურნირო დარბა... იტევდა ყველა მაყურებელს. ტიების დემონსტრაცია რო... ადგილას ხდებოდა.

ყურადღების ცენტრში ჩემ... ბის პრეტენდენტთა პარტიებ... ავერბახი შეხვდა ხოლმოვ... ლა ცვალებადი უპირატესობ... დინარეობდა და 42-ე სვლა... მით დამთავრდა. ტაიმანოვმა ... გიულად შეუტია ბორისენკ... ფეს და გაიმარჯვა. სპასკი ... გაევსკისთან დებიუტიდანვე ... თამაშს ინარჩუნებდა. ... ში მას შეეძლო გადამწყვეტ... რატესობის მიღება, მაგრამ ... გამოიყენა ეს შესაძლებლობა. ... პარტია ტურის დღეს არ დამ... ბულა, მაგრამ მეორე დღეს ... გაუთანაშებლად ყაიმზე შეთ...

ამრიგად, ჩემპიონი არ გამ... და. ბ. სპასკიმ, მ. ტაიმანოვმა ... ავერბახმა მოაგროვეს 11,5 ... თვითეულმა და გაიყვეს I... ადგილები. IV ადგილზე გავ... ერთაშორისო ოსტატი ვ. კ... (11 ქულა). შემდეგ არიან: ... ბი ლ. პოლუგაევსკი, რ. ხო... მ. ტალი (10,5 ქულა თვით... გროსმაისტერი ი. ბოლესლავ... ქულა), ოსტატები ვ. ზურახო... ქულა), ვ. ანტოშინი (8 ქულა), ... ნიკი და ვ. ბივშევი (7,5 ქულ... თეულს). გროსმაისტერი ვ. რაგ... (7 ქულა), გროსმაისტერი ა. ტ... და ოსტატი ვ. სიმაგინი (6,5 ... თვითეულს), ოსტატები გ. ბორ... (6 ქულა), ხასინი (5,5 ქულა) ... ლისიცინი (4 ქულა).

დიდი შთაბეჭდილება დატ... ბუკი გროსმაისტერის ბ. სპასკ... მაშმა. გროსმაისტერმა ტაი... ჩემპიონატის დამთავრების ... სპასკის შესახებ თქვა, რო... ოსტატობა დღეებით კი არა ... ბით იზრდება. სპასკიმ ჩემპიო... მონაწილე ხუთ გროსმაისტ... შეხვედრაში ოთხი მოიგო ... ლოდ თავისი მწვრთნელი გრ... ტერი ტოლუში „შეიბრალა".

ჩემპიონატი თუმცა დამთ... მაგრამ ბრძოლა ჩემპიონის ... მედლისათვის კვლავ გრძელდ...

ფიზკულტურისა და სპორტ... კავშირო კომიტეტის დადგენ... გუშინ ლენინგრადის ცენტ... საჭადრაკო კლუბში დაიწყო ... ტურნირი გროსმაისტერების ს... ტაიმანოვსა და ავერბახს ... საბჭოთა კავშირის ჩემპიონ... ტიო სახელისათვის. პრეტენდ... ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვ... ე. ი. ყოველი მონაწილე ოთ... პარტიას ითამაშებს

# ახ... მსოფ... რეკო...

სვერდლოვსკში დამთავრდ... ლის სამხედრო ოლქის ძალ... პირველობა, რომელშიც მონ... ობდა მსოფლიო რეკორდსმენ... დორე ნიკიტინი. გამოდიოდ... მსუბუქ წონაში, მან ორი ... აჭიმა 121 კილოგრამი, რით... გრამით გააუმჯობესა თავისივ... ფლიო რეკორდი ამ წონაში.



# თოვლსა და ქარბუქში

## საქართველოს 1956 წლის პირველობა სათხილამურო სპორტში

★

საქართველოს მოთხილამურეთა XX პირად-გუნდური პირველობის მეორე დღე შეჯიბრებისათვის კვლავ არახელსაყრელი გათენდა. განუწყვეტლივ თოვდა, ქროდა ძლიერი ქარი, მიუხედავად ამისა სამთო ორჯ[?]დის მონაწილენი დაუყოვნებლივ გამოცხადნენ 15-კილომეტრიანი დისტანციის სტარტზე. პირველივე მეტრებიდან გამარჯვებისათვის ბრძოლა ძირითადად ბორჯომელ სპორტსმენებს ვ. გავას, ა. მიქაბერიძეს, ახალქალაქელ ა. ადამიანცსა და თბილისის I გუნდის წარმომადგენელ ზ. თვაურს შორის გაჩაღდა. მათ პირველივე კილომეტრის შემდეგ საგრძნობლად გაუსწრეს დანარჩენ მონაწილეებს. სტარტი დაცარიელდა. ვანუწყვეტად თოვდა. ციოდა. მსაჯები და მაყურებლები, რომლებიც „თოვლის ბაბუებს" დაემსგავსნენ, იძულებული გახდნენ მოძრავი თამაშობანი გაეჩაღებინათ. შეუმჩნევლად გაირბინა 1 საათმა და 17 წუთმა, გამოჩნდა პირველი მონაწილე. ეს იყო რესპუბლიკის უძლიერესი ორჭიდელი ვ. გავა (ბორჯომი), რომელმაც დისტანცია 1:17.22-ში დაამთავრა. 1 წუთითა და 50 წამით გვიან მოვიდა ამავე გუნდის წარმომადგენელი ა. მიქაბერიძე. მესამე იყო ა. ადამიანცი (ახალქალაქი) — 1:20.47. მაგრამ ჩემპიონის საბოლოო გამოვლინებისათვის საჭირო იყო გამარჯვების მოპოვება ტრამპლინიდან ხტომებში, რომელსაც ხშირად საკმაო კორექტივი შეაქვს პირველი სახეობის შედეგებშიც, ასე მოხდა ამჯერადაც. მართალია, ვ. გავამ პირველობა არავის დაუთმო 45-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებშიც და 446,3 ქულის დაგროვებით ჩემპიონობა გაინაღდა, მაგრამ სულ სხვანაირად შეტრიალდა მეორე ადგილის ბედი. ა. ადამიანცმა ხტომების შემდეგ მესამედან მეორე ადგილზე გადაინაცვლა (410,3 ქულა), ხოლო თბილისის I გუნდის წევრი ზ. თვაური, რომელიც რბენაში საკმაოდ ჩამორჩა მოწინააღმდეგეებს, მესამე ადგილზე გამოვიდა.

სწრაფდაშვებაში გაიმარჯვეს ვაჟთა შორის — მ. გავამ, ქალთა შორის — ა. ფროლოვამ.

ცუდი ამინდებით „განაწამები" სპორტსმენები და მაყურებელი მესამე დღისათვის კარგ ამინდს წინასწარმეტყველებდნენ. რადგან დაბინდებისთანავე ცაზე ვარსკვლავები აციმციმდა. ასეც მოხდა. მესამე დღე მზიანი გათენდა. საკმაოდ რთული ასპარეზობის — 50 კილომეტრზე რბენის მონაწილეები ამინდმაც შეიფარალა.

პირველი წრე ყველაზე ადრე დაამთავრა ბორჯომელმა ვ. ჯეირანაშვილმა, რომელიც სტარტიდან მე-11 წავიდა. მას კვალდაკვალ მისდევდნენ თანაგუნდელები ნ. გავა, ს. ჯეირანაშვილი და ვ. კოზანაშვილი. ამავე თანმიმდევრობით გაიარეს ყველა წრე და დაამთავრეს შეჯიბრება. გ. ჯეირანაშვილმა ეს საკმაოდ რთული დისტანცია 4:01.39-ში დაფარა. მეორე ადგილზე გასული ნ. გავა გამარჯვებულს 2 წუთითა და 10 წამით ჩამორჩა, მესამე ადგილი წილად ხვდა ს. ჯეირანაშვილს — 4:04.04.

ბორჯომელმა სპორტსმენებმა კიდევ ერთი გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს.

სტარტიდან ვაჟების წასვლის შემდეგ სარბენზე გამოვიდნენ 10 კმ-ზე რბენის მონაწილე ქალები. ამას წინათ ბაკურიანში ჩატარებულ „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე აჭარის გუნდის წარმომადგენელმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ველოსპორტში, სპორტის ოსტატმა ვ. იურკინამ 10-კილომეტრიანი დისტანცია 54 წუთში დაამთავრა, ამჟამად მან ეს შედეგი 3 წუთით გააუმჯობესა და რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა — 51.22, მეორე ადგილი წილად ხვდა რესპუბლიკის ჩემპიონს 5 კილომეტრზე რბენაში ვ. გავას — 53.06, მესამე — კ. ბარანოვას (იგი მონაწილეობდა პირად პირველობაში) — 53.37. გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს მესტიელმა სპორტსმენებმა.

პირველობის მეოთხე, უკანასკნელი დღე კვლავ ცუდი ამინდით დაიწყო, მართალია, არ თოვდა, მაგრამ ქარბუქი შეჯიბრების ნორმალურად მსვლელობას აფერხებდა. ამ დღის პროგრამაში კი საკმაოდ რთული სახეობა — ამანათრბენები იყო.

11 საათზე სტარტი მიეცა ვაჟთა ამანათრბენის (4×10-ზე) პირველი ეტაპის 8 მონაწილეს. ძირითად მოწინააღმდეგეებად ბორჯომისა და მესტიის სპორტსმენებს თვლიდნენ. ორივე გუნდის წარმომადგენლები ვ. ფანჯაკიძე და ს. მუშკუდიანი თავიდანვე შეეცადნენ ხელთ ეგდოთ ინიციატივა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ პირველ ეტაპზე მოგებულ წამებსაც კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს ამოცანა კარგად გადაწყვიტა ბორჯომელმა ვ. ფანჯაკიძემ, რომელმაც თავის ეტაპი 47 წუთსა და 07 წამში დაამთავრა და 2 წუთით და 38 წამით ადრე დაჰკრა ხელი თანაგუნდელ ა. ქუმსიშვილს, ამ უკანასკნელმა თავისი ეტაპი 46.46-ში დაამთავრა და განსხვავება 4 წუთამდე გაზარდა. მესამე ეტაპზე ბორჯომელი სპორტსმენები უახლოეს მეტოქეს — მესტიის გუნდს წინ უსწრებდნენ 7 წუთით. მხოლოდ მეოთხე ეტაპზე შეძლო მესტიელმა ა. ჯაფარიძემ სხვაობის შემცირება 5.44-მდე. გაიმარჯვა ბორჯომის გუნდმა (ვ. ფანჯაკიძე, ა. ქუმსიტაშვილი, ვ. კოზანაშვილი, ვ. მიქაბერიძე) — 3:17.14. მეორე ადგილზე გამოვიდა მესტია — 3:22.58

ქალთა ამანათრბენში 4×5-ზე კვლავ აშკარა იყო ბორჯომელ სპორტსმენთა (ქ. ჯეირანაშვილი, ი. მოსესოვა, რ. ბანდური, ნ. ქურდოლიანი) უპირატესობა. ქალთა ამანათრბენის პირველი ეტაპი პირველად მესტიელმა ნ. მუშკუდიანმა 29.04-ში დაამთავრა. ერთი წუთისა და 37 წამის შემდეგ ბორჯომელი ქ. ჯეირანაშვილი ხელით შეეხო თანაგუნდელ ი. მოსესოვას, რომელმაც განსხვავება 04 წამამდე შეამცირა. მესამე ეტაპიდან რბოლას სათავეში ჩაუდგა ბორჯომელი რ. ბანდური და ეტაპი ორწუთნახევრით ადრე დაამთავრა, ვიდრე მესტიელმა ქ. მარგიანმა. მეოთხე ეტაპზე ნ. ქურდოლიანმა (ბორჯომი) სხვაობა 4 წუთისა და 43 წამამდე ვაზარდა. გაიმარჯვა ბორჯომის გუნდმა შედეგით — 2:01.49. მეორე ადგილზე გამოვიდა მესტიის გუნდი — 2:06.32. თბილისის პირველმა გუნდმა დაიკავა მესამე ადგილი — 2:13.56.

საერთო გუნდურ ჩათვლაში რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ბორჯომის რაიონის ნაკრებმა კოლექტივმა.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა, ასპარეზობას მრავალი ნაკლოვანებანიც ახასიათებდა. ხშირი იყო მსაჯთა კოლეგიის სხდომებზე წარმომადგენლების დაგვიანებაგამოუცხადებლობის შემთხვევები. ეს განსაკუთრებით ახალქალაქისა და ბოგდანოვკის წარმომადგენლების ტ. სტეპანოვისა და ა. კარსლიანის შესახებ ითქმის. შეჯიბრების გახსნამდე ჩატარებულ თათბირზე მთავარმა მსაჯმა მონაწილეებს ერთხელ კიდევ მოაგონა, რომ სტარტზე დაგვიანებით მოსული სპორტსმენები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან, სწორედ ამ მოტივით არ მისცეს 15 კილომეტრზე რბენის უფლება მესტიელ დადვანს. ეს თავისთავად კარგია სპორტსმენთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მაგრამ მსაჯთა კოლეგია ხშირად თვითონ არ იცავდა ამ პრინციპს. შეჯიბრების მესამე დღეს 50 კილომეტრზე რბენის სტარტი დანიშნული იყო დილის 9 საათისათვის. ყველა მონაწილე დროულად გამოცხადდა ადგილზე, მაგრამ მსაჯები არ ჩანდნენ. ნახევარი საათი იცადეს სპორტსმენებმა და ბაზაში დაბრუნდნენ.

როგორც შემდეგ გამოირკვა ტრასა არ იყო მზად და მთავარმა მსაჯმა ეს მოვალეობა სწორედ სტარტის წინ იკისრა ისე, რომ ამის შესახებ წარმომადგენლებისათვის არაფერი უთქვამს. ხშირად არ ყოფნიდათ მსაჯები და კონტროლიორები, სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გაიპარა შეცდომა. ვაჟთა სლალომის დამთავრების შემდეგ კოლეგიამ საპრიზო ადგილები ასე გაანაწილა: პ. კოზანაშვილი, ვ. კოპტონაშვილი, გ. ბანდური. მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა კონტროლიორმა უარყო თავისი წინადღის ჩვენება ს. კოზანაშვილის მიერ შეჯიბრების წესის დარღვევის შესახებ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: პირველი ადგილი — პ. კოზანაშვილი, მეორე — ს. კოზანაშვილი და მესამე — ვ. კოპტონაშვილი. ცხადია, ასეთი უპრინციპო მსაჯობა ხელს უშლის შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას.

**ო. გელაშვილი,**
**ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.**

* * *



**სურათზე:** პ. კოზანაშვილი სლალომის ტრასაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მსაჯობა იუკადრისეს

თბილისში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს დარბაზში, სამ დღეს გრძელდებოდა თბილისის ჭაბუკ მოკრივეთა პირადი პირველობა. მონაწილეობდა „სპარტაკის", „დინამოს", „პიშჩევიკის", „შრომითი რეზერვებისა" და განათლების განყოფილების 105 სპორტსმენი.

უმცროსი ასაკის მოკრივეებში ქალაქის ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს აზვლედიანმა, რაზმაძემ, შადინოვმა, ფაროიანმა, ჩაგულოვმა, სილაგაძემ, ფედოსიევმა.

საინტერესო გამოდგა უფროსი ასაკის მოკრივეთა ფინალური შეხვედრები. პირველ ადგილებზე გამოვიდნენ მიქაელიანი, გუმბიაშვილი, კაზარიანი, ნიკოლიანი, ხუბეჟოვი, ჩიკვილაძე, სილაგაძე, ფლოროვი, მოსაშვილი.

შეჯიბრებამ გვიჩვენა ჭაბუკთა კრივის განვითარებაში არსებული ნაკლოვანი მხარეები. მონაწილეთა ერთი ჯგუფი ბრძოლას სტიქიურად, ყოველგვარი გეგმის გარეშე აწარმოებს. ამ მოკრივეებს არ აქვთ დისტანციის გრძნობა. ბურევესტნიკელ რაზმაძეს კარგად აქვს დამუშავებული მარჯვენა ირიბი დარტყმა. თითქოს აქ ურიგო არაფერია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ რაზმაძე ყველა შეტევას იწყებს მარჯვენა ირიბი დარტყმით და არ ეძებს ხელსაყრელ მომენტს ამ მოძრაობის ჩასატარებლად. ჩვეულებრივად მარჯვენა ირიბი დარტყმა ახლო მანძილიდან ბრძოლის დაგვირგვინებას უნდა წარმოადგენდეს. შეჯიბრების პროცესში მოკრივეები იშვიათად იყენებენ კორპუსში დარტყმებს.

აღნიშნულ ღონისძიებაზე მაყურებელმა ვერ იხილა ვერც ერთი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი, რომელთა აზრით შეჯიბრება არ იყო მაინცდამაინც სერიოზული და მსაჯობაც იუკადრისეს. ამ შეჯიბრების მსაჯთა ნაწილი, რომელსაც ნაკლები გამოცდილება ჰქონდა, ზუსტად ვერ რეაგირებდა დაშვებულ შეცდომებზე და ამიტომ ხშირად არასწორ გადაწყვეტილებას იღებდა.

**უ. ჩიჩინაძე**

# წყალბურთელთა ტურნირი

დამთავრდა რესპუბლიკის ქალაქების მატჩი წყალბურთში. მონაწილეობდნენ თბილისის I და II ნაკრები, „სპარტაკი", „ბურევესტნიკი", ბათუმისა და ფოთის გუნდები. სოხუმის გუნდმა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიიღო.

პირველი ადგილი დაისაკუთრა თბილისის I გუნდმა, რომელსაც არც ერთი შეხვედრა არ წაუგია. მეორე — „ბურევესტნიკმა", მესამე ადგილზე გამოვიდა თბილისის II გუნდი. მეოთხე ადგილი ერგო თბილისის „სპარტაკს". ბათუმის ნაკრები მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, ფოთი — მეექვსეზე.

აღნიშნულმა შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი წყალბურთელები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ არიან დაუფლებული ბურთის შორიდან ძლიერსა და ზუსტ ტყორცნებს, ვერ იყენებენ რიცხობრივ უპირატესობას, რაც ბურთის გატანის უდავო შესაძლებლობას იძლევა. ყველა მდგომარეობიდან ვერ ტყორცნიან ბურთს და, ასე გასინჯეთ, ოთხმეტრიან თავისუფალ დარტყმასაც ხშირ შემთხვევაში ვერ ანაღდებენ.

შეჯიბრება უნდა ჩატარებულიყო 4-9 თებერვალს. ამაზე მეტყველებენ როგორც ქალაქის ქუჩებში გაკრული აფიშები, ისე მოსაწვევი ბარათები, მაგრამ 4 თებერვალს ზამთრის აუზთან დანიშნულ დროზე თავმოყრილი მაყურებლები გაოცდნენ, როდესაც გაიგეს, რომ შეჯიბრება იწყებოდა არა 4, არამედ 5 თებერვალს.

**ა. ბარნოვი**

# თბილისი—როსტოვი

ორ დღეს გრძელდებოდა თბილისისა და როსტოვის მძლეოსანთა ამხანაგური შეხვედრა. უნდა ითქვას, რომ სტუმრები კარგად მოემზადნენ აღნიშნული შეჯიბრებისათვის და ზამთრის პირობებისათვის რამდენიმე მაღალი შედეგიც აჩვენეს.

100 მეტრზე რბენა ვაჟთა შორის მოიგო თბილისელმა ლ. ანთაძემ — 11,2. ქალთა შორის უძლიერესი ამ დისტანციაზე როსტოველი ნ. კარაჩაევსკაია იყო — 12,6. სპრინტერები სტარტზე სტაიერებმა შეცვალეს. 1.500 მეტრი ყველაზე სწრაფად როსტოველმა ნ. გარვიმ (4.13,4) გაირბინა.

ამ დროს სტადიონის ჩრდილოეთისა და სამხრეთის სექტორებზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მტყორცნელები და მხტომელები. ბირთვი ვაჟებში ყველაზე შორს ჰკრა თბილისის გუნდის წევრმა გ. ჩადუნელმა — 14 მ 61 სმ. სიმაღლეზე ხტომაში პირველი ნ. მალლაფერიძე იყო — 1 მ. 85 სმ.

ქალთა შორის ბირთვის კვრაში გაიმარჯვა ლ. სესაძემ (12 მ. 97 სმ), ხოლო სიმაღლეზე ხტომაში როსტოველმა ლ. ჩაურსკაიამ — 1 მ 45 სმ.

პირველი დღის შემდეგ საქართველოს მძლეოსანთა კოლექტივი როსტოვის გუნდთან აგებდა 22 ქულას. შეჯიბრების მეორე დღეს თბილისის სპორტსმენებმა შეამცირეს განსხვავება, მაგრამ შეხვედრა მაინც წააგეს — 126:136.

• • •





**სურათზე:** ლ. ანთაძე (მარჯვნივ) ფინიშთან. 1.500 მეტრზე რბენის მომენტი.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.



მოსკოვში მიმდინარეობს საქალაქთაშორისო მატჩი ფარიკაობაში. მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, ლვოვისა და სხვა ქალაქების საუკეთესო მოფარიკავეები. სურათზე: ბრძოლის ერთი მომენტი.

# მუშაობა უნდა გარდაიქმნას

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში რამდენიმე წელია შეიქმნა ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტები, რომელთა მიზანს შეადგენს მოამზადოს ფიზკულტურის მასწავლებლები რვაწლიანი და საშუალო სკოლებისათვის. როგორ ასრულებენ ამ მოვალეობას ბათუმის, გორის, ქუთაისისა და სოხუმის პედინსტიტუტები?

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ ამას წინათ შეამოწმა აღნიშნული სასწავლებლების ფიზკულტურის ფაკულტეტების მუშაობა. გამოირკვა რომ აღნიშნული ინსტიტუტების ფიზკულტურის ფაკულტეტებს მნიშვნელოვანი მუშაობა აქვთ ჩატარებული ფიზკულტურული კადრების აღზრდის საქმეში, მაგრამ წარმატებებთან ერთად მათ მუშაობას ახასიათებს დიდი ნაკლოვანებები. ისინი უზრუნველყოფილი არ არიან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის საჭირო კეთილმოწყობილი სპორტული ბაზებითა და ინვენტარით, დაბალი სტუდენტთა სპორტ-ტექნიკური მომზადებისა და პედაგოგიური დახელოვნების დონე და სხვ.

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტს დღემდე არ გააჩნია სასწავლო გეგმის შესაბამისი გრაფიკი. სტუდენტები უზრუნველყოფილი არ არიან პედაგოგიური პრაქტიკის დებულებითა და პროგრამით, ისინი სკოლების ნაცვლად პრაქტიკას გადიან პედაგოგიურ სასწავლებლებში. პრაქტიკანტთა თვითეულ ბრიგადაში გაერთიანებულია 15-16 სტუდენტი, ნაცვლად 5-6-სა, რაც ხელს უშლის პრაქტიკის ხარისხოვნად ჩატარებას.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ქუთაისის პედინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტზე. აქ არასწორადაა დაგეგმილი სასწავლო პროცესი, გრაფიკი შედგენილია უვიცად, მასში რატომღაც შემცირებულია სასწავლო პერიოდი, რის გამო სტუდენტთა ყოველკვირეული დატვირთვა საგრძნობლადაა გაზრდილი. მეცადინეობის დაგეგმვისას დაცული არ არის საგნის გავლის თანმიმდევრობა, მასწავლებელთა უმეტესობას არ გააჩნია ინდივიდუალური სამუშაო გეგმა.

დეკანატში და კათედრებზე თვითდინებაზეა მიშვებული მასწავლებელთა მუშაობის აღრიცხვა. ხშირად მეცადინეობა ტარდება დაბალ დონეზე, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და სპორტული ფორმის გარეშე, ხშირია სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოუცხადებლობის გამო მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები.

ყოველივე ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ გამოსაშვები კურსის სტუდენტთა უმრავლესობა ვერ ერკვევა ელემენტარულ ილეთებში.

აღნიშნული საკითხის გამო ინსტიტუტის დირექციამ ფიზაღზრდის ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე პ. ჯაფარიძე არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის ვაათავისუფლა თანამდებობიდან.

ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე და საერთო-ფიზიკური მომზადების კათედრაზე მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის შესრულების აღრიცხვისა და ანაზღაურების საქმეში არანორმალური მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა შეამოწმოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა იმსჯელა რა პედინსტიტუტების ფიზკულტურის ფაკულტეტების მუშაობის შესახებ, მიიღო სათანადო დადგენილება.

თბილისის, გორის, სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს დაევალათ ქმედითი დახმარება გაუწიონ პედინსტიტუტების ფიზკულტურის ფაკულტეტებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებაში.

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექციას დაევალა პედინსტიტუტების ფიზკულტურის ფაკულტეტებისადმი მეთოდური დახმარების აღმოჩენის მიზნით შეიმუშაოს სპეციალური გეგმა და თებერვალ-მარტში მოაწყოს გამსვლელი სესიები აქტუალურ საკითხებზე.

**შ. სუხიშვილი,**
ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი.

# ფალავნების მხარე

**სიმონ მთვარაძე**

ჩვენს ყოველდღიურ პრესაში არც თუ ისე იშვიათად წააწყდებით სახელებს ცალკეულ ფალავნებისას, რომელნიც საგარეჯოელები არიან. ზოგიერთის სახელი დღესაც გვესმის, ზოგიერთზე კი ჩვენი მეხსიერება უნდა დავძაბოთ, რომ კვლავ მოვიგონოთ. ასე მაგალითად:

1931 წლიდან 1953 წლამდე არა ერთხელ გაუელვია შალვა გზირიშვილის სახელს, როგორც საქართველოს ჩემპიონს მძიმე წონაში. ეს ის შალვა გზირიშვილი გახლავთ, რომელმაც თავისი თანამემამულე გოლიათი არსენა მეკოკიშვილი პირველად გამოიყვანა ხალიჩაზე და გზა გაუკაფა მსოფლიო სარბიელისაკენ.

ქართული ჭიდაობის ბევრ ფალავანს უთუოდ კვლავ ეხსომება სახელი ისეთი შეუპოვარი მოწინააღმდეგისა, როგორიც იყო საგარეჯოს რაიონის სახელით მებრძოლი — არჩილ ონაშვილი. არც არსენ ჯინჭარაძის სახელი ექნებათ დავიწყებული, რომელიც შესაძლებელია, დღევანდელ ფალავნების ადგილზე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ცხოვრების პირობებმა ნახტომი შეაშლევინა. განა შეიძლება დავიწყება იოსებ თელიაშვილის კოხტა ჭიდაობისა, რომელსაც თბილისელი მაყურებლები აღტაცებაში მოჰყავდა!

ქართული ჭიდაობის მიმდევარ ვაჟკაცებს, ორიოდე წლის წინ, ცრემლი უხვად აფრქვევინა და ახლაც მკერდში სევდას უღვივებს მოგონება, ისეთ ბედნიერ ფალავნის უბედურ დასასრულზე, როგორიც იყო იოსებ ქაიხოსროშვილი. იგი სრულიად ანაზდად ნაძირალების მსხვერპლი გახდა და ცივ-გომბორის მთის კალთას, დუდუკის სამგლოვიარო ზუზუნში, ერთნაირი გულისტკივილით მიაბარეს, როგორც თანამემამულეებმა, ასევე გორიდან კასპიდან, მცხეთიდან, თბილისიდან, ახმეტიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან დასაფლავების დღეს ჩამოსულმა ფალავნებმა.

ნუთუ მაყურებლის მეხსიერებიდან ოდესმე წაიშლება, ისეთი გულისამაჩუყებელი სურათი, როგორიც იყო პირისპირ დარჩენილ ძმების თავდაუზოგავი შერკინება, რომ შეხვედრაში ნამდვილად ძლიერი გამომჟღავნებულიყო. ეს ძმები საგარეჯოს რაიონიდან იყვნენ — თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილები. თენგიზ ელერდაშვილი ამჟამადაც საქართველოს და საკავშირო ჩემპიონია ჭიდაობა სამბოში.

სპორტის მიმდევარი ახალგაზრდობა კარგად იცნობს საზოგადოება „კოლმეურნის" თითქმის შეუცვლელ ჩემპიონს თავის წონაში, საგარეჯოს მკვიდრს—თამარ შაქარაშვილს. სულ ახლახან უკრაინის მოძმე რესპუბლიკაში გაითქვა სახელი და ბოლოს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა იმავე საგარეჯოს მკვიდრი იოსებ გრატიაშვილი.

მხოლოდ ერთ წელიწადს ელვასავით გამოკრთა ჩემპიონ გ. ლაფერაშვილის სახელი საშუალო წონაში. მეცხვარე-მწყემსმა იმდენი ველარ მოიცალა, რომ ყოველწლიური შეჯიბრების დროს დროებით კომბალი მიეგდო და საჭიდაო ჩოხა ჩაეცვა.

და ბოლოს, არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიოთ ამ რაიონის სიამაყე, თითქმის ოცი წლის მანძილზე მსოფლიოში სწორუპოვარი გოლიათი — არსენ მეკოკიშვილი. ამ უბადლო ფალავანზე მოკლედ ლაპარაკი ძნელია. განზრახული მაქვს ცალკე მონოგრაფიის დაწერა სათაურით: „საგარეჯოდან—ტოკიომდე", და იქ ითქმის ყველაფერი. ახლა კი ერთი პატარა შენიშვნა მინდა გავაკეთო. არსენას მამა ფიდო მეკოკიშვილიც უთუოდ მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, დროსა და გარემოს რომ ისევე შეეწყო ხელი, როგორადაც მის შვილს შეუწყო. იგი იმდენად მძლავრი კაცი ყოფილა, რომ ტყეში ხვადი დათვი ცოცხლად შეუპყრია და სოფელში ჩამოუთრევია...

როგორც მკითხველმა იცის, ამ რაიონს ფალავნების კერა ვუწოდე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს ქართული ჭიდაობა, მაგრამ სწორედ ამიტომ ძალიან გაბედული განცხადებაა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისე დაწინაურდა ზოგიერთი რაიონის გუნდი, მაგალითად: გორის, კასპის, მცხეთის, ახმეტის, ლაგოდეხის, თბილისისა და სხვა, იმდენი მსოფლიო, საბჭოთა კავშირისა და ოლიმპიური ჩემპიონები გამოვიდნენ სხვა კუთხეებიდან, სხვა რაიონებიდან, მაგალითად: დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, გ. კარტოზია, მ. ცალქალამანიძე, ნ. მუზაშვილი და სხვები, რომ ჩემი განცხადება ბევრს თავხედობად მოეჩვენება.

საგარეჯო შეფენილია კახეთის გამყოფი ქედის ცივ-გომბორის მთის კალთებზე. უკან ტყიანი მთები და „ბებერი კლდე" აქვს საფარად, წინ კი მდ. იორის ჩაფენილი ხეობა და ჰორიზონტის კიდეებამდე გაშლილი ველები და შიშველი მთა-გორაკ-ბორცვები. ეს სოფელი მთელს კახეთში განთქმულია თავისი წყაროს წყლების შესანიშნავი თვისებებით და სიუხვით. ასევე ქებულია ჰავის სიკეთით. თელავსა და საგარეჯოს შუა მშვენიერი საზაფხულო იალაღებია — „მთა ცივის" სახელწოდებით. ეს ჰავა და შემრგო წყლები უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ იმ პირობად, რომელიც ჰქმნის ხალხის ჯანმრთელობას, ძალოვანებას!

საგარეჯოს რაიონი ხასიათდება მრავალფეროვანი მეურნეობით. მისი მინდვრები გადაჭიმულია ორმოცდაათი კილომეტრის მანძილზე. აქ მისდევენ: მევენახეობას, მებოსტნეობას, მებაღეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას, უფრო ძირითადად კი ხვნა-თესვას და მესაქონლეობას. ამ თვალუწვდომ მინდვრებზე არც თუ ისე ადვილია ბარაქიანი მოსავლის მოყვანა, მით უმეტეს თუ წარმოვიდგენთ ძველი ტრანსპორტის — ურმისა და ხარ-კამეჩის სისწრაფეს და „სიჩაუქეს". საქმე ის არის, რომ ასეთ პირობებში მეურნეს მთელი თავისი სიცოცხლის თითქმის ორი მესამედი ცისქვეშ უხდება ყოფნა და თუ კაცი ერთიანად ქვა და რკინისა არ არის, ვერც გაუძლებს. ასევე ძნელია მწყემსობაც. ბავშვმაც კი იცის, რომ, თუ არაჩვეულებრივი რკინის ხასიათისა და გმირული ბუნების ადამიანი არ არის, მწყემსად ვერ ივარგებს. მართლაც და ამ სიშორე მინდორზე საქონლის უკან დევნაში, ისე როგორ გადარჩებოდა გლეხკაცი, რომ ან ქარს არ დაეკრა, ან ღვარცოფს არ წაჰკიდებოდა, ან ყინვას და სიცხეს არ შეეწუხებინა, ან ჭიდევ: სიტყვას, ხოშკაკალს ... არ შეეძრწუნებინა? ასეთ ბ... ში იზრდებოდა მხნელ-მთე... მწყემსიც და ვაჟკაცობაში ... ცდის სურვილი თავიდანვე თ... ედა. აქედან დასკვნა: მეურ... ხასიათი ჰქმნიდა მძლავრ პ... ბებს, მაგრამ ეს საკმარისი არ... იმისათვის, რომ გარე-კახეთი ... ტის ამ სახეობის კლასიკურ კ... და ფალავნების ბუდედ ქცეუ... ასეთივე პირობები უთუოდ ... ნაც იყო. მაშ სხვა რაღა პი... იყო აქ? ახლავე მოგახსენებთ!

ყოველგვარი სპორტული ... ობა და მით უმეტეს ჭიდაობ... ხის (გლეხკაცის) შექმნილ... იგივე ინახავდა ყველა მის ... ათასი წლის მანძილზე. პრივ... ური კლასების წარმომადგ... ხალხურ სანახაობებში მონაწ... არ ღებულობდნენ რადგან ... საკადრისად არ მიაჩნდათ. ... ერთგვარი სამზადისია, ერთგვ... თნა და ვარჯიში, რომელიც ... აკაჟებს ნძმ; შრომასა და მ... ბრძოლაში. ეს ასეა, მაგრამ გა... მონებულ-დაბეჩავებულ გლ... დენი შეეძლო, ან ეცალა, რომ ... კურად ესოდენ მძლავრი და მ... ველი შემართების ხალისი ჰქ... ვინც ისტორიას თვალს გადა... უმალვე დაგვეთანხმება, რომ ... თული ჭიდაობის შესანიშნავი ... დიციები იქ ვითარდებოდა, ს... უკულმართ მონობის დროში ... შედარებით უფრო თავის... გრძნობდა თავს. როგორც არ... „შედარებითი თავისუფლება" ... რეჯოს მკვიდრთ თავიდანვე ჰ... გადმოცემით — საგარეჯოს ... ლაც რქმევია სოფელი თვალ... დევში, როდესაც ქრისტ... კულტმა მონასტრების მშენ... გამოიწვია, ეს სოფელი სამ ... დაჰყვეს, ერთ უბანს უნდა ... წმ. გიორგის სახელობის მონ... და მას დაარქვეს — „საგიორგ... დო" (ახლა გიორგიწმინდა, ს... ჯოს აღმოსავლეთით); მეორე ... წმ. ნინოს სახელობის მონ... უნდა შეენახა და მას დაერქ... ნინოწმინდო" (ახლა ნინო... საგარეჯოს დასავლეთით); შუა უბანს, შესაძლებელია ყვ... დიდსა და საუკეთესოს, ყველ... დი და ყველასათვის ცნობ... დავით გარეჯელის სახელობ... ნასტერი[2] უნდა შეენახა და ამ... დაერქვა — საგარეჯო. შემდ... გამარტივების მიზნით ორ ... სახელწოდებას წინსართი — ... მოეხსნა და მარტო სა-გარე... შერჩა.

(დასასრული შემდეგ ნომერ...)

---

[1] სამწუხაროდ, ისტორიულ... როებში ვერსად წავაწყდი ამის ... დასტურებელ საბუთს. თვით ... ტის ნუსხებშიაც გარე-კახეთის ... ერთ სოფლად „თვალივია" ... ლებული, ხოლო „თვალი" ... ს. მ.

[2] ოცი კილომეტრი რა... მქონე კლდეებში გამოჭრ... რთული ნაგებობა ნახევრად ... ული და უყურადღებოდ დატ... ლი, დღესაც არსებობს იგი ... რეობს უდაბნოში, სოფ. საგა... სამხრეთით 40 კილომეტრის მ... ზე. ამ მონასტრის ისტორიული ... ვნელობა განუზომელია! აქ ... და იმავე დროს მოღვაწეობდ... ბერი და მაშინდელი დრო... წარმოადგენდა იმავე უნივერ... და აკადემიას. აქ მოღვაწე... ანტონ პირველი კათალიკოსი, სულხან ორბელიანი და სხვებ... წელს ისე აიკლეს და ... ლეკებმა, რომ მას შემდეგ ს... მოდ მიატოვეს. ს. მ.

# დედაქალაქის პირველობა

თბილისის საჭადრაკო პირველობის XIV და XV ტურებმა თუმცა ლიდერთა შორის ცვლილებები არ შეიტანა, მაგრამ ჩემპიონობისათვის ბრძოლა უფრო გააცხოველა. ბუსლაევმა, რომელიც ორი ქულით ასწრებდა ყველას, XIV ტურში პირველი დამარცხება განიცადა. ნაჭავარიანთან პარტიაში იგი გაბედულად წავიდა გართულებებზე, მაგრამ დროის ნაკლეობის გამო შეცდა, წააგო ხარისხი და შემდეგ პარტიაც. XV ტურში გაფრინდაშვილთან ბუსლაევმა ვერ შეამჩნია პაიკის დაკარგვა. თუმცა ეს პარტია გადაიდო, მაგრამ ბუსლაევს მეტად მძიმე მდგომარეობა აქვს.

ლიდერს კვალდაკვალ მისდევს კალატოზიშვილი, რომელმაც საინტერესო ბრძოლაში დაამარცხა ზვიადაძე და გაფრინდაშვილს ყაიმზე შეუთანხმდა. გიორგაძესთან დამარცხების შემდეგ ბლაგიძემ ენერგიული თამაშით მოუგო კაკიაშვილსა და ნაჭავარიანს. გერშკოვიჩმა გაიმარჯვა კაკაშვილთან. გიორგაძეს ორ გადადებულ პარტიაში (გერშკოვიჩსა და თურქესტანიშვილთან) თითო ზედმეტი პაიკი აქვს.

ტურნირზე კიდევ გასათამაშებელია ორი ტური. საქართველოს პირველობის ფინალში გასვლაზე შანსები სულ ცოტა 10 მოჭადრაკეს აქვს.

XV ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ბუსლაევი — 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია; კალატოზიშვილი — 9,5 ქულა; ბლაგიძე — 9, გერშკოვიჩი — 8,5 და ერთი გადადებული პარტია; გიორგაძე — 7,5 და ორი გადადებული პარტია; გერსამია — 7,5 და ერთი გადადებული პარტია; ზვიადაძე — 7,5; გაფრინდაშვილი — 7 და ერთი გადადებული პარტია; ნაჭავარიანი — 7 და ა. შ.

რედაქტორი ი. უგულა...

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.